

ფინანსური ანგარიშგება შპს “იბერია ავტო ლენდი”

2018 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
2. მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
3. კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
4. ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
5. ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	7

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ქართული ლარი	შენიშვნა	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	16 526	13 794
არამატერიალური აქტივები		-	2
		16 526	13 796
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	6	641 352	621 442
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	734 088	741 977
გაცემული სესხები	5	743 203	670 446
საგადასახადო აქტივები მოგების გადასახადის გარდა		41 443	26 159
გადახდილი ავანსები		3 828	4 812
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე		641	341
		2 164 555	2 065 177
სულ აქტივები		2 181 081	2 078 973
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
საწესდებო კაპიტალი		200	200
აკუმულირებული ზარალი		- 3 874 020	- 3 625 876
		- 3 873 820	- 3 625 676
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		1 819 061	1 554 390
სესხები	8	4 180 842	4 107 336
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულებები		267	266
საგადასახადო ვალდებულებები მოგების გადასახადის გარდა			24 102
მიღებული ავანსები		52 379	
ვალდებულება თანამშრომლების მიმართ		2 352	18 555
		6 054 901	5 704 649
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2 181 081	2 078 973

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული 2019 წლის 5 დეკემბერს:

გიორგი ამაშუკელი
დირექტორი



მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ქართული ლარი	შენიშვნა	2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის	2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
შემოსავალი	9	916096	2757469
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	10	-510545	-1975721
საერთო მოგება		405551	781748
ადმინისტრაციული ხარჯები	11	-367236	-435872
დისტრიბუციის და მარკეტინგის ხარჯები		-199	-892
სხვა შემოსავალი/ხარჯები (ნეტო)		44021	-19829
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		82137	325155
ფინანსური შემოსავალი/ხარჯი	12	-303253	-274823
შემოსავალი/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან (ნეტო)		-6081	43885
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		-227197	94217
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა ზარალი		-227197	94217
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-227197	94217

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იყოს 7 - 24 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ქართული ლარი	საწესდებო კაპიტალი		აკუმულირებული ზარალი	სულ კაპიტალი
2017 წლის 1 იანვარი	200.00	-	3 720 092.00	- 3 719 892.00
მთლიანი სრული მოგება/ზარალი წლის განმავლობაში	-		94 217.00	94 217.00
2017 წლის 31 დეკემბერი	200.00	-	3 625 875.00	- 3 625 675.00
2018 წლის 1 იანვარი	200.00	-	3 646 823.00	- 3 646 623.00
მოგება/ ზარალი წლის განმავლობაში		-	227 197.00	- 227 197.00
ფასს 9-ის დანერგვის გავლენა		-	20 948.00	- 20 948.00
მთლიანი სრული ზარალი	200.00	-	3 874 020.00	- 3 873 820.00
2018 წლის 31 დეკემბერი	200.00	-	3 874 020.00	- 3 873 820.00

ფასს 9-ის საწყისმა დანერგვამ გამოიწვია გაუნაწილებელი მოგების კორექტირება 20948 ლარის რაოდენობით.

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იყოს 7 - 24 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ქართული ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
<i>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:</i>		
მომხმარებლებიდან მიღებული თანხა გაყიდული მანქანებისთვის	-	1 130 786
მომხმარებლებიდან მიღებული თანხა სათადარიგო ნაწილებისთვის	1 105 588	1 459 477
გადახდილი ხელფასები	- 204 975	- 637 288
გადახდილი გადასახადები	- 134 022	- 445 472
გადახდილი საბანკო მომსახურება	- 57 855	- 42 352
სხვა გადახდები	- 362 362	- 700 375
<i>წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</i>	<i>346 374</i>	<i>764 776</i>
<i>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</i>		
გადახდები ძირითადი საშუალებების შესყიდვისთვის	- 45 056	- 36 199
მიღებული თანხები შვილობილი კომპანიების წილებისთვის	-	-
გადახდები შვილობილი კომპანიების წილების შესყიდვისთვის	-	-
<i>წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</i>	<i>- 45 056</i>	<i>- 36 199</i>
<i>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</i>		
მიღებული სესხები	454 936	952 664
სესხების გადახდა	- 640 861	- 1 675 644
გადახდილი პროცენტები	- 115 093	- 5 593
ახალი შვილობილი კომპანიის ფული შესყიდვის თარიღისათვის		
<i>წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</i>	<i>- 301 018</i>	<i>- 728 573</i>
ფულის ხელზე და საბანკო ანგარიშებზე წმინდა ზრდა	300	4
უცხოური ვალუტის ეფექტი ფულზე	-	-
ფულიხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის დასაწყისში	341	337
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის ბოლოს	640	341

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 ზოგადი ინფორმაცია და საქმიანობა

შპს “იბერია ავტო ლენდი” (შპს “IAL” ან კომპანია) დაარსდა 2007 წლის მარტში. კომპანიის მთავარი საქმიანობა არის ავტომობილების და ავტომობილების სათადარიგო ნაწილების გაყიდვა და ავტომობილების საგარანტიო მომსახურება. 2018 წლის განმავლობაში კომპანიის თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა იყო 15 თანამშრომელი კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ს. დიღომი

2018 წლის და 2017 წლის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები არიან:

მფლობელი	2018 წლის 31 დეკემბერი		2017 წლის 31 დეკემბერი
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	საქართველოში დარეგისტრირებული შპს	100%	100%

2 მომზადების საფუძველი

2.1 ბანცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

2018 წელს კომპანიამ დანერგა ფინანსური ინსტიტუტების აღრიცხვის ახალი მითითებები (იხილეთ შენიშვნა 2.5). ეს მითითებები მიღებულ იქნა გადასვლის მეთოდის გამოყენებით, რომელიც საწარმოს ნებას რთავს არ მოახდინოს წინა პერიოდების გადაანგარიშება. ფასს 9-ის დანერგვით გამოწვეული სხვაობა, რომელიც დაკავშირებულია რეკლასიფიკაციასთან, შეფასებასთან და გაუფასურებასთან აღიარდება გაუნაწილებელ მოგებაში.

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომლებიც წარმოდგენილია მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულებით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან ეს ვალუტა ყველაზე კარგად ასახავს კომპანიის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს.

ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ქართულ ლარში (თუ სხვაგვარად არ არის მითითებული), რადგანაც ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ასეთი წარდგენა არის უფრო გამოსადეგი ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებელთათვის. ყველა ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილი ლარებში დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

2.4 შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა კრიტიკული შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობებია გამოყენებული, ან სადაც გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია 14-ე შენიშვნაში. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეფასებები დაფუძნებულია ხელმძღვანელობის ცოდნაზე მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, რეალური შედეგები

შესაძლოა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან და თავდაპირველი შეფასებები და დაშვებები შეიცვლება შესაბამის წელში, როდესაც გარემოებები შეიცვლება.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების ბამოყენება

კომპანიამ მიმდინარე წელს მიიღო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (“ბასს”) მიერ გამოცემული ყველა ახალი და გადახდილი სტანდარტი და საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტირების კომიტეტის (“სფაიკ”) მიერ გამოცემული ყველა ინტერპრეტაცია, რომელიც ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული პერიოდებისათვის და რომელიც შესაბამისობაშია კომპანიის ოპერაციებთან.

ცვლილებების ხასიათი და გავლენა განხილულია ქვემოთ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ახალი სტანდარტები პირველად დაინერგა 2018 წელს, მათ არ ჰქონიათ მატერიალური გავლენა ჯგუფის წლიურ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ახალი და გადახდილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს, ან შემდგომ დაწყებული საანგარიშო წლებისათვის

შესწორებები ბასს 40-ში საინვესტიციო ქონება: საინვესტიციო ქონების კლასიფიკაციის შეცვლა

ცვლილებები აზუსტებს, რომ საინვესტიციო ქონებიდან ან საინვესტიციო ქონებაში გადატანა შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ მაშინ, თუ მოხდება გამოყენების ხასიათში ცვლილება და მას ახლავს გამოყენების ხასიათის შეცვლის მტკიცებულება. ქონების გამოყენების ხასიათი მაშინ იცვლება, როდესაც ქონება უკვე აკმაყოფილებს, ან აღარ აკმაყოფილებს საინვესტიციო ქონების განმარტებას. ხელმძღვანელობის განზრახვის შეცვლა, ქონების გამოყენების წესთან მიმართებით, თავისთავად არ არის მტკიცებულება იმისა, რომ შეიცვალა ქონების გამოყენების ხასიათი. შესწორებას არანაირი გავლენა არ აქვს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9 “ფინანსური ინსტრუმენტები” ჩაანაცვლებს ბასს 39 “ფინანსური ინსტრუმენტები: აღირება და შეფასება”-ს 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდისათვის და გააერთიანებს ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვის სამივე ასპექტს კლასიფიკაცია და შეფასება გაუფასურება და ჰეჯირების აღრიცხვა. კომპანია გადავიდა ფასს 9-ზე რეტროსპექტიულად. საწყისი გადასვლის თარიღად აღიარებული იქნა 2018 წლის 1 იანვარი. სხვაობა, რომელიც წარმოიშვა ფასს 9-ის დანერგვისას კლასიფიკაციასთან, შეფასებასთან და გაუფასურებასთან დაკავშირებით აღიარებულია გაუნაწილებელ მოგებაში.

ფასს 15 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ფასს 15 და ფასს 15-თან დაკავშირებული განმარტებები (შემდგომში მოხსენიებული როგორც ფასს 15) ანაცვლებს ბასს 18 შემოსავალი, ბასს 11 სამშენებლო კონტრაქტები, და შემოსავლებთან დაკავშირებულ რამოდენიმე ინტერპრეტაციას.

ახალი სტანდარტი დაინერგა რეტროსპექტიულად. ფასს 15-ის დანერგვას არ ჰქონდა გავლენა კომპანიის საწყის აკუმულირებულ მოგებაზე/(ზარალზე).

შემოსავლის აღრიცხვასა და ახალი სტანდარტის დანერგვის გავლენასთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 3.15.

ფასიკ 22 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და ანაზღაურება ავანსად

ფასიკ 22 განიხილავს რომელი სავალუტო კურსი უნდა იქნეს გამოყენებული, როდესაც ხორციელდება ანაზღაურების გადახდა ან მიღება ავანსად, სანამ აღიარდება შესაბამის აქტივი, ხარჯი ან შემოსავალი.

ფასიკ 22 მიმართავს ამ საკითხს რომ განმარტოს როგორ განისაზღვრება ოპერაციის თარიღი იმ სავალუტო კურსის დასადგენად, რომელიც გამოიყენება შესაბამისი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველი აღიარებისას, ოპერაციის თარიღად მიიჩნევა თარიღი, როდესაც კომპანია თავდაპირველად აღიარებს საავანსო ანაზღაურების გადახდის, ან მიღების შედეგად წარმოქმნილ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას.

თუ ავანსად გადახდის ან მიღების ბევრი შემთხვევა არსებობს, კომპანიამ ოპერაციის თარიღი ცალ-ცალკე უნდა დაადგინოს თითოეული გადახდილი ან მიღებული საავანსო ანაზღაურებისათვის.

სტანდარტები, არსებული სტანსარტების ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც ჯერ არ არის გამოყენებული კომპანიის მიერ

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღისათვის, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (“ბასსს”) მიერ გამოქვეყნებულია რამდენიმე ახალი სტანდარტი, არსებული სტანდარტების ცვლილებები და ინტერპრეტაციები, მაგრამ ჯერ არა არის ძალაში შესული და კომპანიას არ მოუხდენია ვადაზე ადრე გამოყენება.

ხელმძღვანელობა მოეწოდებს, რომ ყველა შესაფერისი სტანდარტი, განახლება თუ ინტერპრეტაცია მიღებული იქნება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში მათი ძალაში შესვლისთანავე. ინფორმაცია ახალ სტანდარტებზე, განახლებებზე და ინტერპრეტაციებზე, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ შესაფერისი იქნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, წარმოდგენილია ქვემოთ. ზოგიერთი სხვა ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები გამოქვეყნებულია, მაგრამ არ არის მოსალოდნელი, რომ იქონიებს არსებით გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ფასს 9-ში: წინასწარგადახდის პირობები უარყოფითი ანაზღაურების შესაძლებლობით

ფასს 9-ის თანახმად, სავალდებულო ინსტრუმენტი ნებადართულია, რომ შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იმის გათვალისწინებით რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს “მხოლოდ ძირითადი თანხის და ძირითადი თანხის ნაწილთან დაკავშირებულ პროცენტების გადახდას” (შ I კრიტერიუმი) და ინსტრუმენტი ფლობილია კლასიფიკაციის შესაბამისი ბიზნეს მოდელის პირობებში. ფასს 9-ის ცვლილებები აზუსტებს, რომ ფინანსურ აქტივები შედის შ I -ის კრიტერიუმში იმის მიუხედავად, თუ რა მოვლენა და გარემოება იწვევს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტას, და მიუხედავად იმისა, რომელი მხარე გადაიხდის ან მიიღებს გონივრული ოდენობის ანაზღაურებას ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისთვის.

ცვლილებები უნდა განხორციელდეს რეტროსპექტულად და მოქმედებს 2019 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდისათვის, ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. კომპანიის ხელმძღვანელობას ჯერ კიდევ არ შეუფასებია ამ ცვლილებების გავლენა მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 16 იჯარა

ფასს 16 წარმოადგენს ახალ მოთხოვნებს და განახლებებს იჯარის აღრიცხვასთან დაკავშირებით. ფასს 16 მოიჯარეებისთვის მოითხოვს “საბალანსო ანგარიშში” იჯარის აღრიცხვას, აქტივის “გამოყენების უფლების” და საიჯარო ვალდებულებების აღიარებით.

ფასს 16 აგრეთვე:

- ცვლის იჯარის განსაზღვრებას;
- განსაზღვრავს მოთხოვნებს თუ როგორ უნდა აღრიცხოს აქტივები და ვალდებულებები, ისეთი რთული შემთხვევების ჩათვლით, როგორიც არის არასაიჯარო კომპონენტები, ცვლადი საიჯარო გადახდები და გამოყენების პერიოდი;
- უზრუნველყოფს აღიარებიდან ანთავისუფლებას მოკლევადიან იჯარებისა და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივებისთვის;
- ცვლის აღრიცხვას უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციებისათვის;
- თითქმის ინარჩუნებს ბასს 17 მიდგომებს მეიჯარის მიერ აღრიცხვასთან დაკავშირებით;
- წარმოადგენს ახალ მოთხოვნებს ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან დაკავშირებით

ფასს 16 ძალაში შედის საანგარიშო 2019 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისათვის. ვადამდელი გამოყენება ნებადართულია. კომპანიის მენეჯმენტს ჯერ არ შეუფასებია ფასს 16 ცვლილების გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასიკ 23 მოგების გადასახადის გამოთვლის მიდგომებთან დაკავშირებული გაურკვეველობა

ფასიკ 23 იძლევა მითითებებს იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყენება ბასს 12-ის აღიარებისა და შეფასების მოთხოვნები იმ შემთხვევაში, როდესაც გაურკვეველია მოგების გადასახადის გამოთვლასთან დაკავშირებული მიდგომები, კონკრეტულად (i) მოგების გადასახადის გამოთვლასთან დაკავშირებული საგადასახადო მიდგომები ცალ-ცალკე უნდა განიხილებოდეს თუ არა, (ii) დაშვებები საგადასახადო ორგანოს მიერ საგადასახადო მიდგომების შემოწმებასთან დაკავშირებით, (iii) განსაზღვრა დასაბეგრი მოგების (საგადასახადო ზარალის), საგადასახადო ბაზის, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტების და საგადასახადო განაკვეთების, და (iv) ფაქტებსა და გარემოებებში მომხდარი ცვლილებების ეფექტი.

ფასიკ 23 ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება.

2015-2017 პერიოდის ყოველწლიური განახლებები (გამოცემული 2017 წლის დეკემბერში)

2015-2017 წლების წლიურმა განახლებებმა მოახდინა მცირე რაოდენობით შესწორება რამდენიმე ფასსების. კომპანიასთან დაკავშირებული ცვლილებები შეჯამებულია ქვემოთ:

ბასს 12 – მოგებიდან გადასახადები: მოგების გადასახადთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც ეხება კაპიტალურ ინსტრუმენტებს

ბასს 12-ში შეტანილი შესწორებები განმარტავს, რომ მოგების გადასახადის საგადასახადო შედეგები დივიდენდებზე აღიარდება მოგებაში ან ზარალში, სხვა სრულ შემოსაველში ან საკუთარ კაპიტალში, იმისდა მიხედვით, სად ჰქონდა საწარმოს თავდაპირველად აღიარებული შესაბამისი წარსული ოპერაციები ან მოვლენები.

ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება.

ბასს 23 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები: დანახარჯები, რომლებიც ექვემდებარება კაპიტალიზაციას

ბასს 23.14 განსაზღვრავს, თუ როგორ განისაზღვრება ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული კაპიტალიზებადი დანახარჯები, როდესაც საწარმო იღებს საერთო დანიშნულების სესხს და იყენებს მას რომელიმე კონკრეტული განსაკუთრებული აქტივის მისაღებად.

ბასს 23 მოითხოვს, რომ საწარმომ გამორიცხოს “კონკრეტული განსაკუთრებული აქტივის შექმნისთვის აღებული სესხები” როდესაც განსაზღვრავს საერთო დანიშნულების სესხს. IASB დააკვირდა, რომ საწარმომ შესაძლოა არასწორად გაიგოს ეს სიტყვები და მიანიშნებდეს, რომ საერთო დანიშნულებით აღებული სესხები ძირითადად გამორიცხავს სესხების ნაშთს, რომლებიც თავდაპირველად აღებული იყო განსაკუთრებული აქტივის შესაძენად, რომელიც ახლა მზად არის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან გასაყიდად..

შესწორებები აზუსტებს, რომ როდესაც განსაკუთრებული აქტივი მზად არის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან გასაყიდად, საწარმო უდგება ნებისმიერ სესხის ნაშთს, რომელიც განსაკუთრებული აქტივის შესაქმნელად იყო აღებული, როგორც სესხის იმ ნაწილი, რომელიც აიღო საერთო დანიშნულებით.

შესწორებები გამოყენებულ უნდა იქნეს პერსპექტიულად (რაც ნიშნავს, რომ ეხება მხოლოდ იმ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია იმ სააღრიცხვო პერიოდისთვის ან მას შემდეგ, როდესაც განახლებები პირველად იქნება გამოყენებული), რადგანაც მოთხოვნილი ინფორმაციის შესაგროვებლად ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების რეტროსპექტიულად კაპიტალიზებისათვის, შესაძლოა გადააჭარბოს მოსალოდნელ სარგებელს.

ბასს 23 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ვადამდელი გამოყენება ნებადართულია.

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

3.1 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2018 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.6766 ლარს და ევრო 3.0701 ლარს (2017 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.5922 ლარი და 3.1044 ევრო). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით,

გამოუქვეითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკე-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მშენებარე ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამიზნულია წარმოებისთვის, გასაქირავებლად ან მიზნებისთვის, რომელიც ჯერ არ არის განსაზღვრული, აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების ზარალი. ღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, მწყობრში მოყვანისა და მონტაჟის ხარჯებს, ასევე პროფესიონალური მომსახურებისა და სესხებთან დაკავშირებულ ხარჯებს რომელიც კაპიტალიზირდება ჯგუფის პოლიტიკის შესაბამისად.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან აღირიცხება დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას წრფივი მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

შენობა ნაგებობები	– 20-50 წელი
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	– 3-15 წელი
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	– 3-7 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	– 5-12 წელი.
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	– უმცირესი იჯარის ვადასა და 7 წელს შორის

რადგანაც მიწისთვის შეუძლებელია სრული სასიცოცხლო ვადის განსაზღვრა, დაკავშირებული საბალანსო ღირებულება არ ექვემდებარება ცვეთას.

3.3 არამატერიალური აქტივები

ჯგუფის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივებისთვის ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად, რომელიც საშუალოდ შეადგენს 5 წელს.

3.4 ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

აქტივებს, რომლებსაც აქვთ განუსაზღვრელი სასიცოცხლო ვადა, არ ერიცხება ამორტიზაცია და ხდება მათი ყოველწლიური გაუფასურების შეფასება, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აისახება, იმ თანხით რა თანხითაც, აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი გადაფასებული თანხით აისახება, ამ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი უნდა აღირიცხოს როგორც გადაფასების შემცირება.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდში აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების არ ქონის შემთხვევაში. გაუფასურების შებრუნება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი გადაფასებულია, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის კომპენსირება აღირიცხება როგორც გადაფასების ზრდა.

3.5 საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება, რომელსაც ფლობილია საიჯარო შემოსავლების მიღების და/ან ღირებულების ზრდის მიზნით, თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს გარიგების ხარჯებს. საწყისი აღიარების შემდგომ, საინვესტიციო ქონება ფასდება თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით.

საინვესტიციო ქონებასთან დაკავშირებული საიჯარო შემოსავალი და საოპერაციო ხარჯები შედის შემოსავალში და სხვა ხარჯებში, შესაბამისად.

3.6 იჯარა

ბასს 17 იჯარის მიხედვით, იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარის ვადის დასაწყისში მოიჯარემ ფინანსური იჯარა უნდა აღიაროს როგორც აქტივები, საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით გაუთვალისწინებელი (თავდაპირველი) ხარჯების დამატებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. შესაბამისი თანხა აღიარებულ უნდა იქნეს ფინანსური იჯარის ვალდებულებად, იმის მიუხედავად რომ, ზოგიერთი საიჯარო გადასახდელები ასანაზღაურებელია იჯარის გაცემის დღიდან.

ფინანსური იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების შემდგომი აღრიცხვა, მაგალითად ცვეთის მეთოდი და სასარგებლო მომსახურების ვადა, შესაბამისა კომპანიის მიერ იურიდიულად ფლობილ შესადარის აქტივებს. შესაბამისი ფინანსური იჯარის ვალდებულება მცირდება საიჯარო გადასახდელებს გამოკლებული საპროცენტო დანახარჯით, რომელიც აღირიცხება ფინანსურ ხარჯად. საიჯარო გადასახდელების საპროცენტო ელემენტი წარმოადგენს მუდმივ პროპორციას, საანგარიშგებო პერიოდის ვალდებულებების ნაშთის მიმართ და ხარჯად აღიარდება მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც იქნება გაწეული.

ყველა სხვა იჯარა აღიარებულია როგორც საოპერაციო იჯარა. გადახდები საოპერაციო იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად აღიარებულია ხარჯებში. მასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორიცაა შენახვის და სადაზღვევო ხარჯები, აღიარდება როგორც გაწეული ხარჯი.

3.7 სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგები ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. ელემენტები, როგორიცაა მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად, მანამ სანამ, არ დააკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება ფიფო მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

3.8 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარება წყდება, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ რისკს და სარგებელს.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება

იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ფასად ფასს 15-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით (სადაც შესაბამისია).

ფინანსური აქტივები გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზებული ხარჯი
- რეალური ღირებულება ცვლილების მოგება-ზარალში ასახვით
- რეალური ღირებულება ცვლილების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით

წარმოდგენილ პერიოდში კომპანიას არ აქვს ფინანსური აქტივების კატეგორია - რეალური ღირებულება ცვლილების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

კლასიფიკაცია განისაზღვრება ორივე შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით:

- კომპანიის ბიზნეს მოდელი გამოყენებული ფინანსური აქტივის მართვისთვის;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსური ხარჯით, ფინანსური შემოსავლით ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტით, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯების სახით. კომპანიის ფინანსური აქტივები დაყოფილია კატეგორიების მიხედვით მოცემულია შენიშვნაში 15.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების ამორტიზირებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს (და არ არის აღნიშნული როგორც რეალური ღირებულება ცვლილების მოგება-ზარალში ასახვით)

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითანისა და ძირითანის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდისას.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება გამოტოვებულია, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს. კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიას მიეკუთვნება.

ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით ცვლილების მოგება-ზარალში ასახვით

ფინანსური აქტივები, რომელთა ფლობა ხდება სხვადასხვა ბიზნეს მოდელით გარდა იმ მიზნებისთვის რომ მიიღოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები ან მიიღოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები და გაყიდოს კლასიფიცირებულია რეალური ღირებულებით ცვლილების მოგება-ზარალში ასახვით. ამასთანავე, ბიზნეს მოდელის დამოუკიდებლად ფინანსური აქტივები, რომელთა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები არ არის მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდები აღირიცხდება რეალური ღირებულებით ცვლილების მოგება ზარალში ასახვით. ყველა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი ხვდება ამ კატეგორიაში, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც

კლასიფიცირებულია და წარმოადგენს ჰეჯირების ინსტრუმენტს, რომლისთვისაც შესაბამისია ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნები. (იხილეთ ქვემოთ)

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის მოთხოვნები იყენებს უფრო მეტად საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას – „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი“. ეს ანაცვლებს ბასს 39-ის „განცდილი ზარალის მოდელი“. ახალ არეალში მოქცეული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სესხებს და სხვა სავალო ტიპის ფინანსურ აქტივებს შეფასებულს ამორტიზებულ ხარჯად და რეალური ღირებულებით ცვლილების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, სავაჭრო მოთხოვნები, სახელშეკრულებო აქტივები აღიარებული და შეფასებული ფასს 15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულება და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებები (ემიტენტისთვის), რომლებიც არ არიან შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკრედიტო ზარალის აღიარება აღარ არის დამოკიდებული კომპანიის საკრედიტო ზარალის პირველად აღმოჩენის შემთხვევაზე. ამის მაგივრად კომპანია განიხილავს უფრო ფართო არეალის ინფორმაციას, როდესაც აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ეს ინფორმაცია მოიცავს, წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გაგვინა აქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებადობაზე.

ამ საპროგნოზო მიდგომის დანერგვისას, გამოიყენა ხდება:

- ფინანსურ აქტივებს შორის, რომლებიც საკრედიტო ხარისხის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან აქვს დაბალი საკრედიტო რისკი (დონე 1), და
- ფინანსურ აქტივებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ხარისხის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (დონე 2)

დონე 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი საკრედიტო ზარალი“ აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება განსაზღვრულია ალბათობებით შეწონილი საკრედიტო ზარალის შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

ფინანსური აქტივების წინა გაუფასურება ბასს 39-ის მიხედვით.

წინა წელს, სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება დაფუძნებული იყო განცდილი ზარალის მოდელზე. ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი მოთხოვნები გაუფასურებისთვის განხილული იყო, ვადაგადასულობის შემთხვევაში ან როდესაც ობიექტური მტკიცებულების მიხედვით კონკრეტული შემხვედრი მხარე ვალდებულებას ვერ შეასრულებდა. მოთხოვნები, რომლებიც არ იყო ინდივიდუალურად განხილული გაუფასურებისთვის, განიხილებოდა ჯგუფებში, რაც დამოკიდებულია ინდუსტრიასთან მიმართებაზე, შემხვედრი მხარის რევიონზე, და სხვა საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებზე. გაუფასურების ზარალის შეფასება დაფუძნებული იყო შემხვედრი მხარის ისტორიული შეუსრულებელი ვალდებულების კოეფიციენტზე თითოეული დადგენილი ჯგუფისთვის.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და სახელშეკრულებო აქტივები

კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანგარიშგების დროს ასევე სახელშეკრულებო აქტივების შემთხვევაშიც და აღრიცხავს ზარალის რეზერვის თანხას, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალად. ეს არის მოსალოდნელი დეფიციტი სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში, რომელიც ითვლისწინებს პოტენციურ ვალდებულების შეუსრულებლობას ფინანსური აქტივის არსებობისას ნებისმიერ დროს. ანგარიშის დროს, კომპანია იყენებს თავის ისტორიულ გამოცდილებას, გარე ფაქტორებს და საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანგარიშის დროს.

კომპანია აფასებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას კოლექტიურ საფუძველზე რადგანაც ფლობს საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებს დაჯგუფებულები არიან გადაცილებული ვადის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

იქიდან გამომდინარე, რომ ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდი რჩება თითქმის იგივე ფასს 9-ის მიხედვით ბასს 39-თან შედარებით, კომპანიის ფინანსურ ვალდებულებებზე გაგვინა არ მოუხდენია ფასს 9-ის დანერგვას. მიუხედავად ამისა, სრულყოფილებისთვის აღრიცხვის პოლიტიკა მოცემულია დაბლა.

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, ბონდებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ფინანსური ვალდებულებების შეჯამება კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია 15-ე შენიშვნაში.

სასესხო ვალდებულებები

სესხები აღიარებულია თავდაპირველად რეალური ღირებულებით, წმინდა გაცემის ღირებულებით, რომლებიც დაკავშირებულია სესხებთან. რეალურ და ნომინალურ ღირებულებებს შორის სხვაობა აღიარებულია მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სესხის აღება ხდება მესაკუთრისგან. ამ შემთხვევაში განსხვავება რეალურ და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხების ოდენობა განისაზღვრება ამორტიზირებული ღირებულებით ნებისმიერი სხვაობა ღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აღიარდება მოგება-ზარალში, პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები დაკავშირებული სესხებთან არის ფინანსური ხარჯის ნაწილი, გარდა ხარჯებისა, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია შესყიდვასთან, საკვალიფიკაციო აქტივის კონსტრუქციასთან, რომლებიც კაპიტალიზირდება როგორც აქტივის ნაწილი.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომში ისინი წარედგინება ამორტიზირებული ღირებულებით.

3.9 ფული და საბანკო ანგარიშები

ფული და საბანკო ანგარიშები მოიცავს ხელზე არსებულ ნაღდ ფულს და ფულს საბანკო ანგარიშებზე.

3.10 გასაყიდად გამიზნული ბრძელვადიანი აქტივები

თუ კომპანია გეგმავს გრძელვადიანი აქტივების გაიდვას და გაყიდვა მაღალი ალბათობით არის მოსალოდნელი 12 თვის განმავლობაში, აქტივი კლასიფიცირდება როგორც გასაყიდად გამიზნული და ასევე წარედგინება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული აქტივები თავდაპირველად აღიარების დროს ფასდება მის საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით. არ ექვემდებარებიან ცვეთას ან ამორტიზაციას. გასაყიდად გამიზნული აქტივების მიუხედავად, ისეთი აქტივები როგორიცაა ფინანსური აქტივები ან გადავადებული საგადასახადო აქტივები აღირიცხება ჩვეულებისამებრ.

გასაყიდად გამიზნული აქტივის გაყიდვიდან ან გადაფასებიდან წარმოქმნილი მოგება ან ზარალი მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება შესაბამისად “სხვა შემოსავალში” ან “სხვა ხარჯებში”. აქტივის გასვლის შედეგად კაპიტალში დარჩენილი ნებისმიერი გადაფასების ნამეტი გადაიტანება აკუმულირებულ მოგებაში.

3.11 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. ცვლილებები კომპანიის საწესდებო კაპიტალში (საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლების და სხვა ცვლილებების ჩათვლით) ხორციელდება მხოლოდ კომპანიის დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში იმდენად, რამდენადაც კომპანიის დამფუძნებლებმა განახორციელეს ფაქტობრივი შენატანები.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

ყველა ტრანზაქცია კომპანიის მფლობელებთან აღრიცხულია კაპიტალში დამოუკიდებლად.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

3.12 ანარიცხები

კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ანარიცხი აღიარდება მაშინ, როდესაც ჯგუფს აქვს მიმდინარე ვალდებულება იურიდიული ან კონსტრუქციული, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთვლილი რესურსების გასვლა. როცა ფულის დროითი ღირებულების ეფექტი მნიშვნელოვანია, ანარიცხების თანხა უნდა წარმოადგენდეს იმ დანახარჯების დღევანდელ ღირებულებას, რომლებიც მოსალოდნელია, რომ საჭირო იქნება მოვალეობის შესასრულებლად, დისკონტირების განაკვეთი უნდა წარმოადგენდეს დაბეგვამდე არსებულ განაკვეთს, რომელშიც გათვალისწინებულია ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო

შეფასებებისა და მოცემული ვალდებულებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური რისკი.

ჯგუფს აქვს საგარანტიო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ის მომხმარებლებს პირდება გაყიდულ მანქანებზე გარკვეული სახის ზიანის ანაზღაურებას. საგარანტიო ანარიცხის ოდენობა გამოიანგარიშება იმის გათვალისწინებით, თუ რამდენ ავტომობილზე მოქმედებს გარანტია წლის ბოლოს, კომპანიის ისტორიული გამოცდილებით და მოსალოდნელი საგარანტიო მომსახურებით იმ ავტომობილებისათვის, რომლებზეც ვრცელდება გარანტია. მეორე მხრივ, ავტომობილის მომწოდებელთან დადებული ხელშეკრულების მიხედვით, კომპანიას აქვს უფლება, მიიღოს გარანტიის ფარგლებში კლიენტისთვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება. ცალკეული აქტივი აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში როგორც მომწოდებლისგან მისაღები საგარანტიო მოთხოვნა. როდესაც სხვაობა ამ ორ ოდენობას შორის არ არის მატერიალური, არც აქტივი და არც ანარიცხი არ აღიარდება.

3.13 მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგება/(ზარალზე), რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

ცვლილებები მოგების გადასახადში, რომლებიც ეფექტურია 2017 წლის 01 იანვრიდან

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრავს ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახდით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა.

მოგების გადასახადი წარმოქმნილი დივიდენდების განაწილებიდან, აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში როდესაც გამოცხადდება დივიდენდები, ფაქტობრივად გადახდის დღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, რომლის მიხედვითაც ნაწილდება დივიდენდები. საგადასახადო განაკვეთი არის წმინდა განაწილებული ოდენობის 15/85.

საგადასახადო ვალდებულებისათვის შესაძლებელია მოგების გადასახადის ჩათვლა, 2017 წელს ან მოგვიანებით ნებისმიერი გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდისათვის, წინა მოდელის მიხედვით 2016 წლამდე დაგროვილი მოგებიდან.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 01 იანვრიდან.

3.14 თანამშრომელთა ანაზღაურება

თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი არის ისეთი სახის სარგებელი რომელიც მოსალოდნელია რომ სრულად დაიფარება წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვემდე ვადაში, რა პერიოდშიც თანამშრომლები წევრ შესაბამის მომსახურებებს და მოიცავს:

- ა) ხელფასები და ბონუსები

ბონუსები

ბონუსის გადახდის მოსალოდნელი ხარჯი აღიარდება მხოლოდ მაშინ როდესაც კომპანიის წარსული მოვლენების შედეგად აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომ დაფაროს ასეთი გადასახადი და შესაძლებელია ვალდებულების საიმედო შეფასება.

მიმდინარე ვალდებულება არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც საწარმოს არ აქვს გადახდისგან განსხვავებული სხვა რეალური ალტერნატიულ არჩევანი.

3.15 შემოსავალი

ჯგუფის შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება ავტომობილების და ავტომობილების ნაწილების რეალიზაციიდან და ავტომობილების საგარანტიო სერვისებიდან.

იმისათვის, რომ განისაზღვროს უნდა აღიარდეს თუ არა შემოსავალი კომპანია განიხილავს 5 საფეხურიანი პროცესს:

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია
2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია
3. გარიგების ფასის განსაზღვრა
4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება

შემოსავალი აღიარდება დროის გარკვეულ პერიოდის განმავლობაში ან დროის გარკვეულ მომენტში, როდესაც კომპანია დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებებს, მომხმარებელისთვის დაპირებული საქონლის ან სერვისის მიწოდებით. აქტივის გადაცემა ხდება, როდესაც მომხმარებელი მოიპოვებს ამ აქტივის კონტროლს.

კომპანიის მთავარი შემოსავლის წყარო არის:

- ა) შემოსავალი ავტომობილების რეალიზაციიდან;
- ბ) შემოსავალი სათადარიგო ნაწილების გაყიდვიდან, და
- გ) შემოსავალი ავტომობილებზე სერვისის გაწევიდან.

კომპანია ყიდის ავტომობილებს სტანდარტული საგარანტიო პირობებით, რომელსაც ანაზღაურებს ავტომობილის მწარმოებელი და არ აწვდის მომხმარებელს დამატებით სერვისს, ამგვარად ავტომობილების რეალიზაციიდან, გარანტიები არ განიხილება როგორც ცალკეული შესასრულებელი ვალდებულებები.

ყველა ზემოთ აღწერილი შემოსავლის წყარო აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში.

დროის გარკვეული მომენტის დასადგენად, როდესაც მომხმარებელი მოიპოვებს კონტროლს დაპირებულ აქტივზე და კომპანია დაფარავს შესასრულებელ ვალდებულებას, კომპანია ითვალისწინებს კონტროლთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. აქტივის კონტროლი სარგებლის მიღების უნარს. კონტროლი მოიცავს შესაძლებლობას, აარიდოს სხვა საწარმოებს აქტივის პირდაპირი გამოყენება და სარგებლის მიღება.

დივიდენდი და საპროცენტო შემოსავალი

შემოსავალი დივიდენდებიდან აღიარდება, როდესაც აქციონერის უფლება, რომ მიიღოს გადახდა, დამტკიცებულია.

საპროცენტო შემოსავლის დარიცხვა ხდება დროის შესაბამისად, გადაუხდელი ძირითადი თანხისა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად, რომელიც თავისთავად, წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებას ახდენს აქტივის სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში და დაჰყავს ის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

4 ძირითადი საშუალებები

	მანქანა- დანადგარები და მოწყობილობა	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
თვითღირებულება					
თვითღირებულება 31/12/2015	68 710	96 444	3 800	24 795	193 749
შემოსვლა	-	740	-	609	1 349
გასვლა	-	-	-	-	-
თვითღირებულება 31/12/2016	68 710	97 184	3 800	25 404	195 098
შემოსვლა	-	745	-	-	745
გასვლა	-	-	-	-	-
თვითღირებულება 31/12/2017	68 710	97 929	3 800	25 404	195 843
შემოსვლა	6 525	6 969	-	-	13 495
გასვლა	-	(458)	(3 800)	-	(4 258)
თვითღირებულება 31/12/2018	75 235	104 441	-	25 404	205 080
დაგროვილი ცვეთა					
დაგროვილი ცვეთა 31/12/2015	60 557	74 074	3 800	20 680	159 111
წლის ცვეთა	2 683	8 886		723	12 292
დაგროვილი ცვეთა 31/12/2016	63 240	82 960	3 800	21 403	171 403
წლის ცვეთა	2 054	7 838	-	754	10 646
დაგროვილი ცვეთა 31/12/2017	65 294	90 798	3 800	22 157	182 049
წლის ცვეთა	2 920	5 573		2 160	10 653
გასვლის შედეგად ელიმინირებული	-	(349)	(3 800)	-	(4 149)
დაგროვილი ცვეთა 31/12/2018	68 214	96 023	-	24 317	188 554
ნარჩენი საბალანსო ღირებულება					
ნარჩენი საბალანსო ღირებულება 31/12/2015	8 153	22 370	-	4 115	34 638
ნარჩენი საბალანსო ღირებულება 31/12/2016	5 470	14 224	-	4 001	23 695
ნარჩენი საბალანსო ღირებულება 31/12/2017	3 416	7 131	-	3 247	13 794
ნარჩენი საბალანსო ღირებულება 31/12/2018	7 021	8 418	-	1 087	16 526

ცვეთის ხარჯი დარიცხული ადმინისტრაციულ ხარჯებში (იხილეთ შენიშვნა 11).

5 ბაცემული სესხები

ქართული ლარი	მიმდინარე	
	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული არაუზრუნველყოფილი სესხები	743,203	672,446
		-

ყველა სესხი გაცემულია დაკავშირებულ მხარეებზე და არის არაუზრუნველყოფილი.

დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული მიმდინარე სესხები დენომინირებული ქართულ ლარში და აღნიშნულ სესხებზე საშუალო შეწონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 19.5%.

2019 წლის იანვარში მომხდარი შერწყმის შედეგად აღნიშნული გაცემული სესხები გაიქცეოდა.

6 სასაქონლო მატერიალური მარაგები

ქართული ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ავტომობილები		
სათადარიგო ნაწილები	640,562	620,652
სხვა	789	790
	641 352	621 442

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში აღიარებული სასაქონლო მატერიალური მარაგების ხარჯი არის 510,545 ლარი (2017: 1,975,721 ლარი) (იხილეთ შენიშვნა 10).

2018 წლის განმავლობაში არ ყოფილა სასაქონლო მატერიალური მარაგების დამატებითი ჩამოწერა ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე

7 საგაჭრო და სხვა მოთხოვნები

ქართული ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
<i>ფინანსური აქტივები</i>		
მოთხოვნები ავტომობილები მომსახურებიდან	771,860	749,789
	771,860	749,789
მოთხოვნების გაუფასურება	(37,722)	(7,812)
საგაჭრო და სხვა მოთხოვნები	734,088	741,977

საგაჭრო მოთხოვნების არსებითი ნაწილი წარმოშობილია ურთიერთდამოკიდებულ პირთან გაწეული მომსახურების შედეგად.

2018	მიმდინარე	0-30 დღე	31 - 90 დღე	91 - 180 დღე	181 - 360 დღე	361 დღეზე მეტი	სულ
სავაჭრო მოთხოვნები	16 109	5 815	12 234	12 351	13 391	711 960	771 860
მოთხოვნების გაუფასურება	2 192	1 656	3 879	1 983	4 693	23 368	37 772
%	14%	28%	32%	16%	35%	3%	5%
2017	მიმდინარე	0-30 დღე	31 - 90 დღე	91 - 180 დღე	181 - 360 დღე	361 დღეზე მეტი	სულ
სავაჭრო მოთხოვნები	16 789	5 140	7 666	6 392	6 026	707 775	749 789
მოთხოვნების გაუფასურება	2 151	1 361	2 393	846	1 670	20 338	28 760
%	13%	26%	31%	13%	28%	3%	4%
			31.12.2018	31.12.2017			
მოთხოვნების გაუფასურება 1 იანვრის მდგომარეობით			7 812	7 812			
IFRS 9 ეფუძნება			20 948	-			
უიმედო ვალუბი			14 174	90			
ჩამოწერა			- 5 162	- 90			
მოთხოვნების გაუფასურება 31 დეკემბრის მდგომარეობით			37 772	7 812			

8 სესხები

კომპანიას აქვს მხოლოდ არაუზრუნველყოფილი სესხები დედა კომპანიისა და ურთიერთდამოკიდებული კომპანიებისაგან.

	დასრულების თარიღი	საპრცენტო განაკვეთი	ვალუტა	31.12.2018	31.12.2017
მოკლევადიანი სესხები					
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	01.01.2018	20%	GEL	4 167 205	4 079 700
შპს იბერია სერვისი	31.12.2020	14%	GEL	13 637	12 471
ტარიელ ხეივანშვილი	31.12.2023	14.00%	GEL	-	15 165
				-	
სულ მოკლევადიანი სესხები				4 180 842	4 107 336

9 შემოსავალი

ქართული ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ავტომობილების რეალიზაცია	-	1,682,205
სათადარიგო ნაწილების რეალიზაცია	747,495	851,650
მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	168,601	223,613
	916,096	2,757,468

10 რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

ქართული ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
გაყიდული სათადარიგო ნაწილების თვითღირებულება	468,6565	1,975,721
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	41,880	
	510,545	1,975,721

11 ადმინისტრაციული ხარჯები

ქართული ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
საიჯარო ხარჯები	32 888	15 995
თანამშრომლებზე დარიცხული ბონუსი	167 810	189 343
საკონსულტაციო ხარჯები	132 051	196 799
საბანკო მომსახურება	3 917	4 161
სადაზღვევო ხარჯები გარდა თანამშრომელთა დაზღვევისა	503	62
ცვეთა და ამორტიზაცია	10 655	10 754
საწვავი	3 512	3 432
რემონტი	5 812	6 058
კომუნიკაცია	1 413	1 530
საკანცელარიო	423	537
სხვა	8 253	7 200
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	367 236	435 871

12 ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ქართული ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
გაცემული სესხებიდან საპროცენტო შემოსავლები	72 016	181 061
<i>სულ საპროცენტო შემოსავლები</i>	<i>72 016</i>	<i>181 061</i>
საპროცენტო ხარჯები საბანკო სესხებზე	-	- 85 199
საპროცენტო ხარჯები არასაბანკო სესხებზე	- 375 269	- 370 685
საპროცენტო ხარჯები ფინანსურ ღიზინგზე	-	
სულ საპროცენტო ხარჯები	(375 269)	(455 884)
სულ ფინანსური შემოსავლები (ხარჯები) წმინდა	(303 253)	(274 823)

13 შემდეგი მოვლენები

2019 წლის იანვარში შპს “იბერია ავტო ლენდი” და შპს “სენა ავტო” შეერწყა შპს “კავკასუს მოტორსს” და შერწყმული საწარმოს სახელია შპს “კავკასუს მოტორსი”;

14 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და მსჯელობები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ამასთან გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მიიჩნევა.

14.1 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

კომპანია შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული სააღრიცხვო შეფასებები, შესაძლოა განსხვავებული იყოს რეალურ შედეგისაგან. შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ:

საეჭვო და უიმედო ვალების ანარიცხები

კომპანია აფასებს სავაჭრო მოთხოვნების ამოღების დონეს მის გამოცდილებაზე და სამომავლო მოლოდინებზე დაყრდნობით. რეალური ამოღების დონე შესაძლოა განსხვავდებოდეს მენეჯმენტის შეფასებებისგან.

ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადები

მენეჯმენტმა შეაფასა ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის ხანგრძლივობა. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური მომსახურების ვადის ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები არსებითად განსხვავებული იქნება.

მარაგები

მენეჯმენტი აფასებს ნელა მოძრავი მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას და ითვალისწინებს ყველაზე სანდო შესაძლებელ მტკიცებულებას თითოეული საანგარიშგემო პერიოდისთვის. მარაგების სამომავლო რეალიზაციაზე შესაძლოა გავლენა იქონიოს სამომავლო ტექნოლოგიებმა ან სხვა საბაზრო ცვლილებებმა, რამაც შესაძლოა შეამციროს მომავალი გადასაყიდი ფასები.

საგარანტიო ანარიცხები

გარანტიები წარმოადგენს გაურკვევლობას, რადგანაც ხელმძღვანელობამ ზუსტად არ იცის როდის და/ან რამდენი მომხმარებელი მოითხოვს საგარანტიო ანაზღაურებას, და რადგანაც კომპანიის გარანტია მოიცავს გაყიდვიდან 5 წლამდე პერიოდს, ანაზღაურების მოთხოვნის ვადაც გაურკვეველია, ამასთანავე, გაურკვეველია, თუ რა სახის დაზიანებებზე გაკეთდება ანაზღაურების მოთხოვნა და თუ ყველა სახის დაზარალები ანაზღაურდება თუ არა მწარმოებლის მიერ. ამგვარად, რეალური შედეგები შესაძლოა, მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის მიმდინარე შეფასებებისგან.

14.2 ძირითადი მაშვებები მომავალთან დაკავშირებით

ფუნქციონირებადობის შეფასებები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანია შერწყმულია შპს კავკასუს მოტორსთან და ლიკვიდირებულია.

15 ფინანსური ინსტრუმენტები

15.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის დეტალები და განხორციელების მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები და საფუძველი, რომლის მიხედვითაც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება, თითოეული კლასის ფინანსური აქტივის, ვალდებულების და კაპიტალის ინსტრუმენტის შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 15.2-ში.

15.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

თითოეული კატეგორიის აქტივების და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შემდეგია:

	ქართული ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები	სესხები და დებიტორები:		
	სავაჭრო და სხვა დებიტორული თანხები	734 088	741 977
	გაცემული სესხები	743 203	670 446
	საბანკო ნაშთები	6	26
		1 477 298	1 412 449
ფინანსური ვალდებულებები	ფინანსური ვალდებულებები ამორტიზებული თანხებით:		
	სესხები და კრედიტორები	4 180 842	4 107 336
	სავაჭრო და სხვა კრედიტორები	1 819 061	1 554 390
		5 999 903	5 661 726

16 ფინანსური რისკის მართვა

კომპანია ექვემდებარება სხვადასხვა რისკების ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. ძირითადი რისკების ტიპებია: საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანიის ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური რისკები აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური რისკის ფაქტორები

ა) საბაზრო რისკი

კომპანია არ არის დაცული საბაზრო რისკისაგან ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გამო და კონკრეტულად სავალუტო რისკისაგან და საპროცენტო განაკვეთის რისკისაგან, რომელიც გამოწვეულია, როგორც საოპერაციო აგრეთვე, საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში გარკვეულ ტრანზაქციებს. აქედან გამომდინარე, გამოვლინდება მცირედი საკურსო სხვაობებით წარმოქმნილი მერყეობა.

კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა არის ეროვნულ ვალუტაში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოადგენს ისეთი სახის რისკს, რომლის ცვლილებამაც საბაზრო საპროცენტო განაკვეთში შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან მისი საქმიანობის შედეგებზე. იმდენად რამდენადც კომპანიას არ აქვს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ვალდებულებები, მენეჯმენტს სჯერა, რომ იგი დაცულია მატერიალური საპროცენტო განაკვეთის რისკისაგან.

ბ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს. ეს რისკი წარმოიშობება სხვადასხვა ფინანსური აქტივებისგან, ბანკში ფლობილი ნაღდი ფულის და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ჩათვლით. ვინაიდან კომპანიის კრედიტორს ძირითადად წარმოადგენს დედა კომპანია ან/და მასთან ურთერთდამოკიდებული პირები მენეჯმენტი თვლის რომ კომპანია დაცულია საკრედიტო რისკისგან.

სავაჭრო მოთხოვნები

ჯგუფი იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მოდელს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ასაღიარებლად ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის, რადგან აღნიშნული მუხლები არ შეიცავს მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტს.

კომპანიის ძირითადი სავაჭრო მოთხოვნები აქვს დედა კომპანიასთან ან/და მასთან ურთერთდამოკიდებულ პირებთან.

გ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს, კომპანიის ვალდებულებების გადახდის უუნარობას.

კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასეხო ვალდებულება.

ლიკვიდურობის რისკის შესაბამისად კომპანია იყენებს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს ფინანსური აქტივებიდან, განსაკუთრებით კი ფულადი სახსრების და სავაჭრო მოთხოვნების შეფასების მიზნით.

17 ბაუთგალისწინებული ბარემოებები

17.1 ბიზნეს ბარემო

საქართველო განაგრძობს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებებს. როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველო არ ფლობს განვითარებულ ბიზნეს და მარეგულირებელ ინფრასტრუქტურას, რომელიც ძირითადად დამახასიათებელია უფრო თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისათვის. უფრო მეტიც, ეკონომიკური მდგომარეობა ზღუდავს საქმიანობის მოცულობას ფინანსურ ბაზრებზე, რომელიც შეიძლება არ იყოს ასახული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებებზე. შემდგომი ეკონომიკური განვითარების მთავარი დაბრკოლებაა ცენტალიზებული ეკონომიკური სტრუქტურას, რეგიონალურ არასტაბილურობასა და ეკონომიკურ კრიზისთან ერთად ეკონომიკისა და ინსტიტუციონალური განვითარების დაბალი დონე.

იმ ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ, რომლებიც თანამშრომლობენ საქართველოსთან და რომლებზეც საქართველოს ეკონომიკა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული, გამოიწვია ფულადი გზავნილების შემცირება საზღვარგარეთიდან. ეროვნული ვალუტის დამატებითი გაუფასურება იწვევს იმპორტირებულ საქონელზე ფასების ზრდას. არსებობს გაურკვევლობა მნიშვნელოვანი მოცულობის პირდაპირი კაპიტალური ინვესტიციების მოზიდვისა. ამ და სხვა გარემოებებმა შესაძლოა გამოიწვიოს საქართველოს ეკონომიკისა და კომპანიის მდგომარეობის გაუარესება. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ამ გაურკვევლობაში ჩართული რიგი ცვლადები და ვარაუდები, მენეჯმენტს არ შეუძლია გააკეთოს სანდო შეფასება, თუ კომპანიის რომელ აქტივებსა და ვალდებულებებზე ექნება გავლენა.

მენეჯმენტს სჯერა, რომ მიმდინარე პირობებში სათანადო ზომები ხორციელდება ჯგუფის ეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

17.2 დაზღვევა

საქართველოს სადაზღვევო სექტორი განვითარების სტადიაზეა და დაზღვევის მრავალი ფორმა, რომელიც მიღებულია მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას, ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი. კომპანიას არ აქვს დაზღვეული ყველა მისი აქტივი, საქმიანობის შეფერხებას ან მესამე მხარის მიმართ ვალდებულებებს, ქონების ზიანთან თუ გარემოს დაცვასთან მიმართებით. მანამ სანამ კომპანია მიიღებს ადეკვატურ დაზღვევას, არის რისკი იმისა რომ, ზარალი ან აქტივების დაზიანება მატერიალურ ზარალს მიაყენებს კომპანიის ფინანსურ და საოპერაციო მდგომარეობას.

17.3 ბადასახაღები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლადობებით, რომლებიც ხშირად ხდება ინტერპრეტაციების საგანი. ხშირად, განსხვავებული ინტერპრეტაციები არსებობს სხვადასხვა საგადასახადო ორგანოსა და იურისდიქციებში. გადასახადები საგადასახადო ორგანოების მხრიდან ექვემდებარება განხილვას და შემოწმებას, რომელიც წარმოშობს კანონით გათვალისწინებულ მძიმე ჯარიმებსა და საურაგებს.

ამ ფაქტორებმა შესაძლოა წარმოშვას საგადასახადო რისკი საქართველოში, არსებითად უფრო მეტად ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებში. მენეჯმენტს სჯერა, რომ საგადასახადო კანონმდებლის ინტერპრეტაციის საფუძველზე საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურად არის განსაზღვრული. თუმცა, შესაბამის ორგანოებს შესაძლოა ჰქონდეთ განსხვავებული ინტერპრეტაციები და ეფექტი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი.

17.4 გარემოს დაცვა

კომპანიას აქვს გარკვეული ოპერაციები, რომლებიც ექვემდებარება გარემოსდაცვით რეგულაციებს. კერძოდ, კომპანია უზრუნველყოფს ავტომობილების შეკეთების მომსახურებას, რომელიც ექვემდებარება გარკვეულ მოთხოვნას გამოყენებული ნაწილების ან საპოხი მასალების გამო. საქართველოში გარემოსდაცვითი კანონმდებლობა განვითარების პროცესშია და შესაძლოა კანონმდებლობაში არსებობდეს გარკვეული ცვლილებები, რომელიც შეიძლება იყოს დაკავშირებული კომპანიის საქმიანობასთან. თუმცა მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანია აკმაყოფილებს მთავრობის მოთხოვნებს გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ არ გააჩნია არსებითი მიმდინარე გარემოსდაცვითი ვალდებულებები და მოსალოდნელი არ არის, რომ მომავალში წარმოიქმნება არსებითი გარემოსდაცვითი ვალდებულებები.

18 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს მშობელი კომპანია, ძირითადი ხელმძღვანელობა.